დამტკიცებულია სკოლის
დირექტორის მიერ
წლის 10 იანვრის 6-04 ბრძანებით

GEORGIA LTD INTERNATIONAL GEORGIAN SCHOOL ATINATI
ATINATI
212274867

სკოლის ფილოსოფია

მისია, ხედვა, ღირებულებები)

სკოლის ფილოსოფია

სკოლის მისია

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ,,ათინათის“ მისიაა - უსაფრთხო, პოზიტიური,სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც თითოეული ბავშვი მოაზროვნე,მაძიებელი, ლაღი და დაფასებულია, სადაც სწავლა საიამოვნო და საინტერესო პროცესია წარმატების მისაღწევად.

ინტელექტუალური თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად მოზარდებს ჩამოვუყალიბებთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, დავეხმარებით ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმარტ საკუთარი პასუხისმგებლობის, უფლება- მოვალეობების გაცნობიერებაში.

პრიორიტეტად ვსახავთ უცხო ენის (ინგლისური ენა) სწავლებას, ბუნებრივი გარემო პირობების დაცვასა და დემოკრატიული ღირებულებების ამაღლებას.

სკოლის ხედვა

სკოლის ხედვაა, მომავალი 7 წლის მანძილზე, სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას; იზრუნოს მათ გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებაზე; თითოეული მოსწავლე აღჭურვოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სოციუმის სრულფასოვან წევრებად.

სკოლის ღირებულებები

სკოლის ღირებულებებია: უსაფრთხოება, განათლების მაღალი ხარისხი, პედაგოგების კომპეტენტურობა და კარგი ურთიერთობები მშობლებთან, თანამედროვე მიდგომებისა და ინოვაციების დანერგვა სწავლებაში, კონკურენტუნარიანი, პატრიოტი, ტოლერანტი, კანონმორჩილი მოქალაქეების აღზრდა და მათი გლობალურ პროცესებში ინტეგრაცია.